ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

პრაქტიკული სახელმძღვანელო საქართველოში რელიგიის თავისუფლებით სარგებლობისთვის

2014

პრაქტიკული სახელმძღვანელო მომზადდა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

ავტორი: **თამარ გეგელია**

პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე

რედაქტორი: ლაშა ქავთარაძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
შანიძის ქუჩა #3, 0179, თბილისი, საქართველო
ტელ: (+ 995 32) 2 23 15 58

ელ-ფოსტა: humanrightsemc@gmail.com
www.emc.org.ge

Facebook: https: www.facebook.com/RIGHTSEMC

ტირაჟი: 300

შესავალი …….....2
თავი 1. კონსტიტუციით დაცული სფერო 3
თავი 2. რელევანტური საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული სფერო 3-4
თავი 3. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესი და პირობები 4-6
თავი 4. მშენებლობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები .....6 -9
თავი 5. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები 10- 12
თავი 6. რელიგიის თავისუფლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში ..... 12 -14
თავი 7. რელიგიის თავისუფლების დაცვა შრომით ურთიერთობებში 14
თავი 8. რელიგიის თავისუფლების დაცვა სამხედრო სამსახურში.....15-16
თავი 9. საქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებული რეგულაციები..... 16-17
თავი 10. პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი გარანტიები..... 17-18
თავი 11. რელიგიის თავისუფლების დაცვა საარჩევნო, პოლიტიკურ და მედია ურთიერთობებში 18-21
თავი 12. რელიგიის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა ჯანდაცვის სფეროში 21-22
თავი 13. რელიგიის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში..... 22-24
თავი 14. რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა სისხლის სამართალში 24-25
თავი 15. რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეგულაციები 25-26
თავი 16. რელიგიის თავისუფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების მიმოხილვა..... 26-34

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოში რელიგიის თავისუფლების დაცვის სახელმძღვანელო „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ (EMC) ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „უფასო სამართლებრივი დახმარება რელიგიური უმცირესოებებისთვის“ ფარგლებში მოამზადა.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მიმოხილულია საქართველოს კანონმდებლობის ის ძირითადი ასპექტები, რომელიც აწესრიგებს საქართველოში რელიგიური უმცირესობების სამართლებრივ სტატუსსა და იმ ურთიერთობებს, რომლის სუბიექტებად ხშირად რელიგიური გაერთიანებები და მათი წარმომადგენლები გვევლინებიან. სახელმძღვანელოს მიზანია რელიგიური უმცირესობებისთვის რელიგიის თავისუფლების დაცვის ხელშეწყობა საკუთარი უფლებებისა და სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე ინფორმირებულობის ამაღლების გზით.

სახელმძღვანელო რელიგიის თავისუფლების გამოყენებასთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის რეგულაციებისა და სამართლებრივი დაცვის შესაბამისი საშუალებების მოკლე მიმოხილვას მოიცავს და მთლიანად ეფუძნება მოქმედ ნორმატიულ ბაზას.

1. კონსტიტუციით დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ძირითად პრინციპებსა და გარანტიებს. მათ შორის, განამტკიცებს პიროვნების სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას[1]. კონსტიტუციის მე-19-ე მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. ამასთანავე, კონსტიტუცია ადგენს, რომ აღნიშნულ თავისუფლებათა შეზღუდვა დაუშვებელია, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს[2]. კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს აზრისა და რწმენის თავისუფლებას მანამ, სანამ იგი პირადულ სივრცეში რჩება, ხოლო მას შემდეგ, რაც იგი გადის პირადი სივრცის გარეთ კონსტიტუციის 24-ე მუხლის ფარგლებში ექცევა.

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და თანასწორია კანონის წინაშე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა[3].

საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ აქვთ უფლება თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ[4].

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან[5].

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს თანასწორუფლებიანობის პრინციპს, თუმცა, ახდენს საქართველოს ისტორიაში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის (*შემდგომში* მართლმადიდებელი ეკლესია) განსაკუთრებული როლის აღიარებას. კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფო და ეკლესია გამიჯნულია და მათ შორის ურთიერთობა კონსტიტუციური შეთანხმებით განისაზღვრება.[6]

2. რელევანტური საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული სფერო

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე–9 მუხლი.
[2] იქვე. მე–19 მუხლი.
[3] იქვე. მე–14 მუხლი.
[4] იქვე. 38–ე მუხლი.
[5] იქვე. 39–ე მუხლი.
[6] იქვე. მე–9 მუხლი.

ადამიანის უფლებათა 1948 წლის 10 დეკემბრის საყოველთაო დეკლარაციის მე–18 მუხლის თანახმად, ''ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღთვისმსახურებასა და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.'' ხოლო მე–19 მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.''

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია (*შემდგომში* ევროპული კონვენცია) სხვა უფლებებთან ერთად ადგენს, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. კერძოდ, მისი მე–9 მუხლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.'' იმავე მუხლის მე–2 აბზაცი განსაზღვრავს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის კრიტერიუმებს: ''რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებირივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.''

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტის მე–18 მუხლის თანახმად: ''თითოეულ ადამიანს აქვს აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას ჰქონდეს ან იღებდეს რელიგიასა თუ მრწამსს საკუთარი არჩევნით და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძო წესით ასრულებდეს კულტს, რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებებსა და მოძღვრებას. არავინ არ უნდა განიცდიდეს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას იქონიოს ან მიიღოს რელიგია თუ მრწამსი საკუთარი არჩევანით.''

3. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესი და პირობები

განსახილველი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
2. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი;

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილება.
4. საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონი;
5. საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანება.

3.1 რეგისტრაციის წესი და პირობები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, რელიგიური გაერთიანება შეიძლება დარეგისტრირდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად[7]. რელიგიურმა გაერთიანებამ რეგიტრაციისთვის უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (*შემდგომში* მარეგისტრირებელი ორგანო)[8].

საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაცია

მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირება არ წარმოშობს რაიმე უპირატეს ან განსხვავებულ უფლებებს არაკომერციულ იურიდიულ პირთან შედარებით. საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი.[9]

რელიგიური ორგანიზაციისთვის არაკომერციულ, ისევე როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაციისთვის საჭიროა შემდეგი ქმედებების განხორციელება:

3.2. მარეგისტრირებელი ორგანოსთვის მიმართვა

პირველი ეტაპი გულისხმობს მარეგისტრირებელი ორგანოსთვის შემდეგი სახის დოკუმენტების წარდგენას:

1. განცხადება რეგისტრაციის შესახებ;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

---

[7] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509[1]–ე მუხლის 1–ლი და მე–2 ნაწილები.
[8] იხ. მითითებული მუხლის მე–3 ნაწილი.
[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509[1]–ე მუხლის მე–5 ნაწილი.

3. სანოტარო წესით დამოწმებული და ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება/წესდება;
4. სარეგისტრაციო მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გადახდა შესაძლებელია ადგილზეც)[10].

შენიშვნა: თუ განმცხადებელი არის დაინტერესებული პირის წარმომადგენელი, ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტი (მინდობილობა) და ამ პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

3.2.1. რეგისტრაციისთვის კანონით დადგენილი საფასურის გადახადა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციისთვის დადგენილია შემდეგი ვადა და საფასური: ერთი სამუშაო დღის ვადაში – 100 ლარი, განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი[11].

3.2.2. რეგისტრაციაზე მარეგისტრირებელი ორგანოს უარის გასაჩივრების წესი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ თანამდებობის პირთან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან) და შემდეგ სასამართლოში[12]. გასაჩივრების იგივე წესი მოქმედებს საჯარო სამართლის იურიდიული პირად დარეგისტრირების მოთხოვნის შემთხვევაზეც.

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს მისი ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში[13].

4. მშენებლობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები

განსაზღვრული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების

---

[10] რეგისტრაციისთვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა (იხ. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–5 მუხლი).

[11] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო
რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურისა
გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილების მე–4 მუხლი.

[12] საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტი.

[13] საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის 1–ლი პუნქტი.

წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილება;

2. საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონი;
3. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
4. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის N 1–1/1254 ბრძანება;
5. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონი;
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი;
7. ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი;
8. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

4.1. მშენელობა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას, რომ რელიგიურ-საკულტო ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოში სპეციალური რეგულაციები ან შეზღუდვები არ არსებობს. რის გამოც, მათზე ვრცელდება იგივე სამართლებრივი რეჟიმი, რაც სხვა ტიპის სამშენებლო ნაგებობებისთვის.

სამშენებლო საქმიანობის ობიექტი არის მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, მათ შორის, დამხმარე და დროებითი შენობა-ნაგებობები.

მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად.

სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთებია[14]:

ა) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა;
ბ) სასოფლო-სამეურნეო ზონა;
გ) სარეკრეაციო ზონა;
დ) სპეციალური ზონა;
ე) სატრანსპორტო ზონა 1;
ვ) სანიტარიული ზონა;
ზ) სამხედრო დანიშნულების ზონა 2.

სამშენებლოდ შეზღუდულ მიწის ნაკვეთზე დაშვებულია მხოლოდ ტერიტორიის ძირითადი ფუნქციით განპირობებული შენობა-ნაგებობების მშენებლობა, აგრეთვე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა საქართველოს მოქალაქეების, ოჯახების (კომლების) კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მათ შორის, საკომლო მეურნეობის მიწის ნაკვეთებზე.

[14] ...ოს

დასაშვებია სამშენებლო საქმიანობისათვის მიწის ნაკვეთის განსაზღვრული სახეობის და ფუნქციური ზონის შეცვლა[15].

> ***მაგალითად,*** *რელიგიური ორგანიზაციის საკუთრებაში არის სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. იმისათის, რომ ამ ორგანიზაციამ მიიღოს დასახელებულ მიწაზე სპორტულ–გამაჯანსაღებელი ცენტრის (რომელიც არ არის საცხოვრებელი სახლი) მშენელობის ნებართვა, ამისთვის მან უნდა იზრუნოს მიწის* ნაკვეთისთვის *დანიშნულების შეცვლაზე. ამ შემთხვევაში, მიწას უნდა შეეცვალოს ფუნქციური დანიშნულება არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულებად.*

4.2. მშენებლობის ნებართვის მისაღებად კანონით დადგენილი იურიდიული საფუძვლები

მშენებლობის განხორციელების იურიდიული საფუძველია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე გაცემული ნებართვა, რომელიც გაიცემა სამ სტადიად. თითოეული სტადია ხორციელდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ყოველი სტადიის წარმატებით გავლის შემდეგ, განმცხადებელმა, უფლებამოსილ ორგანოს ახალი განცხადებით უნდა მიმართოს, რაც მომდევნო სტადიის დაწყებასთან დაკავშრებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის აუცილებელი წინაპირობაა [16].

აღნიშნული სტადიებია:[17]

I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (შემდგომში – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) – არაუმეტეს 12 დღისა;

II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (შემდგომში - არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება) - არაუმეტეს 18 დღისა;

III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა – არა უმეტეს 5 დღისა.

---

[15] აღნიშნულის შესახებ იხ. მთავრობის №57 დადგენილება, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის, N 1–1/1254 ბრძანება და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონი.

[16] იხ. იქვე. 37–ე მუხლი.

[17] სახელმძღვანელოში მოყვანილია 1–ლი კლასის მშენებლობისთვის დადგენილი ვადები. ვადები განსხვავდება კლასების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულ თითოეულ სტადიაზე გაიცემა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

განმცხადებელს შეუძლია აირჩიოს ნებართვის მიღების გამარტივებული წესი, რომელიც ნაცვლად სამი სტადიისა, მოიცავს ორ სტადიას და შესაბამისად, დადგენილია განსხვავებული წარმოების ვადები[18].

შენიშვნა: ზემოთ მითითებულ ვადებში იგულისხმება მხოლოდ სამუშაო დღეები[19].

4.3. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმა და სხვა პირობები

დაინტერესებული პირის განცხადების ფორმა განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლით, ხოლო განცხადებაზე აუცილებლად დასართავი დოკუმენტების შესახებ მითითებულია მთავრობის № 57 დადგენილების 43–ე მუხლში.

წარმოდგენილი დოკუმენტების კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს უფლებამოსილი ორგანო 3 დღის ვადაში. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში განმცხადებელს განუსაზღვრავს ხარვეზის შესწორებისათვის გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები[20].

იმ შემთხვევაში, თუკი თვითმმართველობის ორგანო კანონით განსაზღვრულ ვადას (მაგალითად 1–ლი სტადიისთვის დადგენილ 12 სამუშაო დღეს) რეაგირების გარეშე გაუშვებს, ნებართვა გაცემულად ჩაითვლება, რამდენადაც №57 დადგენილება ემყარება პრინციპს – დუმილი თანხმობის ნიშანია[21]. იგივე წესი მოქმედებს დანარჩენ ორ სტადიასთან მიმართებითაც. სამივე სტადიისთვის დადგენილი ვადის რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში, განმცხადებელმა თვითმმართველობის ორგანოს უნდა მიმართოს სანებართვო მოწმობის მისაღებად[22].

ნებართვის მისაღებად მე–2 და მე–3 სტადიებზე წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების შესახებ იხ. № 57 დადგენილების 47–ე და 53–ე მუხლებში.

4.4. თვითმმართველობის ორგანოს მიერ ნებართვის გაცემაზე უარის თქმის გასაჩივრების წესი

თვითმმართველობის ორგანოს მიერ ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან პირდაპირ სასამართლოში[23].

---

[18] იხ. № 57 დადგენილების 39–ე მუხლი.

[19] *იხ. იქვე. 1–ლი მუხლის მე–3 პუნქტი '' დადგენილებაში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.''*

[20] № 57 დადგენილების 45–ე მუხლის მე–4 ნაწილი. ასევე საქართელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლი.

[21] იმავე დადგენილების 54–ე მუხლის მე–7 პუნქტი.

[22] იქვე.

[23] ლიცენზიებისა და ნებართების შესახებ კანონის 28–ე მუხლი '' ნებართვის გამცემის გადაწყვეტილება

5. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი;
3. საქართელოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

5.1. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წესი და პირობები.

საჯარო ინფორმაციის თავისუფლებას იცავს საქართველოს კონსტიტუცია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (*შემდგომში* ზაკი) მესამე თავი.

საჯარო ინფორმაცია

ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას[24].

ყველა ადამიანს აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს[25].

- **ინფორმაციის გამოთხოვის წესი და იურიდიული საფუძველი**

საჯარო ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებული პირი წარადგენს წერილობით განცხადებას[26], რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს.

ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.''

[24] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 41–ე მუხლი.

[25] იხ. ზაკ–ის 37–ე მუხლის 1–ლი ნაწილი.

დაინტერესებული მხარე

ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

- **მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის ვადა**

საჯარო დაწესებულებამ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გასცეს დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს შესაბამის დროს[27].

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი[28].

5.2. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების გასაჩივრების წესი და ვადები

ადმინისტრაციული ორგანოს უარი, დაინტერესებული პირის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შემდეგ სასამართლოში.

გასაჩივრებას ექვემდებარება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა, რაც ზაკ–ის თანახმად, ითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად[29].

- **ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი**

ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სარჩელის შეტანის გზით.

---

[26] განცხადების ფორმის და წარსადგენი დოკუმენტების შესახებ იხ. ზაკ–ის 78–ე მუხლი.
[27] იხ. ზაკ–ის მე–40 მუხლი.
[28] იხ. იქვე. 41–ე მუხლი.
[29] იხ. ზაკ–ის 177–ე მუხლის მე–2 ნაწილი.

წარდგენილი სარჩელით მოსარჩელემ უნდა მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით[30].

- **გასაჩივრების ვადა**

ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში[31].

6. რელიგიის თავისუფლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში

აღნიშნული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი;
2. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი;
3. მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვიატოს №79/ნ ბრძანება;
4. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანება.

6.1. რელიგიის თავისუფლებისთვის სახელმწიფოს მიერ დადგენილი გარანტიები

საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის მიზანია, მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა და მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა. ამ მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად კი აუცილებლად მიაჩნია საჯარო სკოლის დამოუკიდებლობა რელიგიური გაერთიანებებისაგან[32].

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო არის, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლები (საერო და სასულიერო)[33].

იმისათვის, რომ საქართველოში ზოგადი განათლების სფერო აბსოლუტურად თავისუფალი იყოს რელიგიური ზეგავლენისგან, სახელმწიფო კრძალავს საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენებას[34]. კანონი არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო

---

[30] იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე და 24–ე მუხლები.
[31] ზაკ–ის 180–ე მუხლის 1–ლი ნაწილი.
[32] იხ. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე–3 მუხლი.
[33] იხ. იქვე. მე–2 მუხლის ''ჟ'' ქვეპუნქტი.
[34] იხ. იმავე კანონის მე–13 მუხლის მე–2 პუნქტი.

დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კანონით დადგენილი წესით აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევისა და შეცვლის უფლება. დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.

საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს.

საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი კრძალავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულების შემქნას[35].

6.2. ზოგადი განათლების სივრცეში სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმი

ზოგადი განათლების სივრცეში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევებზე, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობას, რომ კონკრეტული მასწავლებლის მიმართ დაიწყონ დისციპლინური საქმის წარმოება[36]. დისციპლინური კომიტეტის მხრიდან[37] უმოქმედობის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია წერილობითი ფორმით მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტს სათანადო რეაგირებისთვის[38]. დისციპლინური კომიტეტის

[35] იხ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–5 პუნქტი. ''უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები''.

[36]ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 35–ე მუხლის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა შეიქმნას დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობის წესი და უფლებამოსულება განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით.

[37] ორგანო რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს დისციპლინური წარმოება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენის მიმართ.

[38] იქვე. 49-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით, შეიძლება სკოლის წესდებით გათვალისწინებული იყოს სააპელაციო კომიტეტის არსებობა[39]. სააპელაციო კომიტეტის არარსებობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირსშეუძლია დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება (რომელიც მას უკანონოდ მიაჩნია) სასამართლოში გაასაჩივროს.

7. რელიგიის თავისუფლების დაცვა შრომით ურთიერთობებში

აღნიშნული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს შრომის კოდექსი.

7.1.შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციისგან დამცავი გარანტიები

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვა თავის გამოხატულებას შრომით ურთიერთობებშიც პოულობს. საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვთ, დაუშვებელია რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია[40].

საქართველოს შრომის კოდექსი უქმე დღეებად ძირითადად მართლმადიდებლურ დღესასწაულებს აცხადებს (მარიამობა, აღდგომა, გიორგობა და ა.შ)[41], მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონი იძლევა იმის საშუალებას, რომ დასაქმებულმა კანონით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები, რაც უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.

7.2. რეაგირების მექანიზმი შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის შემთხვევაში

უფლებების რელიგიური ნიშნით შეზღუდვის შემთხვევაში, (მაგ; სამსახურიდან გათავისუფლება) მოსარჩელეს შესაბამის სასამართლოს შეუძლია მიმართოს სარჩელით, სამსახურში აღდგენის, ხოლო გამოძიების ორგანოს – განცხადებით, უფლების დარღვევის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, როდესაც სამსახურიდან გათავისუფლება ხდება რელიგიური ნიშნით, ქმედება კვალიფიცირდება სსკ–ის 142–ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობად (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა), რომელიც სსკ–ის 169–ე მუხლის (შრომის კანონმდებლობის დარღვევა) სპეციალური შემადგენლობაა.

უფლებების დარღვევაზე რეაგირების ზოგადი წესების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელოს მე–16 თავი.

---

[39] იქვე. 35-ე მუხლი.

[40] იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე–2 მუხლის მე–3 ნაწილი. ‘‘შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირებისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.“

[41] იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე–20 მუხლი.

8. რელიგიის თავისუფლების დაცვა სამხედრო სამსახურში

აღნიშნული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ კანონი;
3. სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ საქართველოს კანონი;
4. არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დებულების დამტკიცების შესახებ პრეზიდენტის 2001 წლის 1 მაისის № 171 ბრძანებულება;
5. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის № 583 ბრძანება.

სამხედრო სამსახურში რწმენის თავისუფლების დაცვის გარანტიას არაერთი სამართლებრივი აქტი ადგენს. 2011 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული რწმენის თავისუფლება მოიცავს სავალდებულო სამხედრო სამსახურზე „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ განცხადების უფლებას - საკუთარი რწმენის, რელიგიური თუ სხვა შეხედულებების შესაბამისად და კონსტიტუციით გათვალისწინებული სამხედრო ვალდებულება ალტერნატიურლი (არასამხედრო) შრომითი სამსახურით ფორმით მოიხადოს.

8.1. საკანონმდებლო რეგულაციები

არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში მშვიდობიან პერიოდში გაიწვევენ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე.[42]

სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს აღიაროს ნებისმიერი რელიგია, აღასრულოს რელიგიური წეს-ჩვეულებები, თუ ეს ხელს არ უშლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში და არ უქმნის პირობებს დამატებითი შეღავათებისათვის. ამასთან, სამხედრო ხელმძღვანელობა ვალდებულია ჩაუნერგოს მას რელიგიისადმი პატივისცემა.[43]

18–დან 27 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის

[42] არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ კანონის მე–4 მუხლი.

[43] სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ 1998 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის მე–7 და მე–18 მუხლი

თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე, ექვემდებარება არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლას[44].

8.2. რეაგირების მექანიზმი უფლების შეზღუდვის შემთხვევაში

სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ კანონის თანახმად,

- სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აგრეთვე მეთაურისა და უფროსის სახელზე შეიტანოს წინადადებები, განცხადებები და საჩივრები.

- სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია, მეთაურის (უფროსის) მეშვეობით ან პირადად, სასამართლოში გაასაჩივროს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამხედრო უწყებების თანამდებობის პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები.

- სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვა და მასზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ხდება საჯარისო წესდებებით გათვალისწინებული წესით. საჩივრის განხილვაზე უარის თქმის ან საჩივრის განხილვის არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს, მიმართოს ზემდგომ მეთაურს (უფროსს), პროკურატურას ან სასამართლოს.

- აკრძალულია სამხედრო მოსამსახურის საჩივრის განხილვის შეჩერება, აგრეთვე საჩივრისათვის დასჯა ან დევნა.

- სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც საჩივარი შეიტანა, არ თავისუფლდება ბრძანებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. კანონსაწინააღმდეგო ბრძანების შესრულების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება ბრძანების გამცემს.

უფლებების დარღვევაზე რეაგირების ზოგადი წესების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელოს მე–16 თავი.

9. საქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებული რეგულაციები

განსაზღვრული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონი.

[44] არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დებულების დამტკიცების შესახებ პრეზიდენტის 2001 წლის № 171 ბრძანებულება.

9.1. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს მხოლოდ აღმავალი და დამავალი ხაზის ნათესავებს შორის ქორწინება. გვერდითი შტოს ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა მხოლოდ ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და–ძმას შორის მოქმედებს, ხოლო რაც შეეხება ქორწინებას დეიდაშვილებს, მამიდაშვილებს და სხვა გვერდითი შტოს ნათესავებს შორის, არ წარმოადგენს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას[45].

9.2. რელიგიური წეს–ჩვეულებების საფუძველზე შედგენილი სამოქალაქო აქტების ქორწინებასთან გათანაბრების საკანონმდებლო შემთხვევები

საქართველოში ნამდვილად ითვლება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია საქართველოში რელიგიური წეს-ჩვეულებების საფუძველზე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის უფლებამოსილების მქონე ორგანოების შექმნამდე ან აღდგენამდე, მათი შედგენის მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად[46].

10. პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი გარანტიები

განსაზღვრული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი.

10.1. კანონით დადგენილი გარანტიები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისიწინებს მონაცემთა დამმუშავებელის ვალდებულებას, თითოეულ ფაილურ სისტემასთან დაკავშირებით აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი და აღრიცხოს შესაბამისი ინფორმაცია. თუმცა, აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება რელიგიური ორგანიზაციების მიერ მათ წევრებთან დაკავშირებულ მონაცემთა დამუშავებაზე[47].

იმავე კანონის თანახმად, აკრძალულია განსაკუთრებული მონაცემების დამუშავება.[48]

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი

მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლობასთან. ასევე, ბიომეტრული მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის

[45] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120–ე მუხლი.
[46] სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე–8 მუხლი.
[47] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე–3 მუხლი.
[48] იხ. იქვე. მე–6 მუხლი.

იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული ნიშნებით (იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის ''ბ'' ქვეპუნქტი).

განსაკუთრებული მონაცემების დამუშავების აკრძალვა არ ვრცელდება კანონით გათვალისიწნებულ შემდეგ შემთხვევებზე:

- მონაცემთა სუბიექტმა გამოხატა წერილობითი თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;
- მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის მიერ შრომითი ვალდებულების შესრულებისათვის ან მასთან დაკავშირებული უფლების განხორციელებისათვის;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, განაცხადოს თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის;
- მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან სავაჭრო გაერთიანების, ასოციაციის ან სხვა არაკომერციული ორგანიზაციის მიერ. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ ორგანიზაციის წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ ორგანიზაციასთან[49].

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავება გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას[50].

10.2. გასაჩივრების მექანიზმი

მონაცემთა სუბიექტს[51] უფლება აქვს, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, მიმართოს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს** ან **სასამართლოს**, ხოლო თუ მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

[49] იხ. იქვე. მე–6 მუხლის მე–2 პუნქტი.
[50] იხ. იქვე. 45–ე მუხლი.
[51] მონაცემთა სუბიექტი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება. იხ. იქვე. მე–2 მუხლის ''ვ'' ქვეპუნქტი.

უფლებების დარღვევაზე რეაგირების ზოგადი წესების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელოს მე–16 თავი.

11. რელიგიის თავისუფლების დაცვა საარჩევნო, პოლიტიკურ და მედია ურთიერთობებში

განსაზღვრული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს კოსტიტუცია;
2. საქართველოს საარჩევნო კოდექსი;
3. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ორგანული კანონი;
4. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
5. ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ;
6. მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონი;
7. მაუწყებლის ეთიკის კოდექსი.

11.1.საარჩევნო კოდექსით დადგენილი გარანტიები

სახელმწიფო კრძალავს წინასაარჩევო აგიტაციის დროს სიძულვილის ენის გამოყენებას. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას[52].

კანონის თანახმად, რელიგიურ ორგანიზაციებს არ აქვთ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება.

11.2. პასუხისმგებლობა

საარჩევნო კოდექსით დადენილი აკრძალვების საწინააღმდეგო მოქმედება გამოიწვევს პასუხისმგებლობას იმავე კანონით[53]. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

11.3. რელიგიური ნიშნით პოლიტიკური მოღვაწეობის დაუშვებლობა

სახელმწიფო ხელისუფლების რელიგიისგან გასამიჯნად სახელმწიფო ადგენს მთელ რიგ გარანტიებს, რომელიც არაერთი სამართლებრივი აქტით არის განსაზღვრული.

ერთ–ერთი ასეთი გარანტიაა მოქალქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი აკრძალვა, რომლის თანახმად, დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს[54], ასეთი პარტიის არსებობა შეუძლია აკრძალოს

[52] იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45–ე მუხლის მე–3 ნაწილი.
[53] იხ. იმავე კანონის მე–10 თავი.
[54] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ორგანული კანონის მე–5 მუხლი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ[55]. იმავე კანონის თანახმად, პოლიტიკურ გაერთიანებებს ეკრძალებათ შემოწირულობების აღება რელიგიური ორგანიზაციებისგან[56].

ასევე, დაუშვებელია რელიგიური ნიშნით ფრაქციის შექმნა პარლამენტსა და საკრებულოში[57].

რელიგიურ კონფესიათა შორის თანასწორობისთვის ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ქვეყნის სხვა რელიგიურ კონფესიათა უმაღლესი სასულიერო პირები[58].

საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება, გამოიწვევს პასუხისმგებლობას.[59]

11.4. მედია სივრცე

ტოლერანტობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად, ასევე სიძულვილის ენის თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლება საზოგადოებრივ მაუწყებელს უდგენს რამდენიმე სახის შეზღუდვას.

შინაარსობრივი შეზღუდვა:

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, რომ პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.[60].

პროგრამული შეზღუდვები:

იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის. ასევე იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ[61].

მაუწყებლის ეთიკის კოდექსის მიხედვით,

---

[55] იქვე. 36–ე მუხლი.
[56] იქვე. 26–ე მუხლი.
[57] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 87–ე და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 31–ე მუხლი.
[58] პარლამენტის რეგლამენტის 120–ე მუხლი.
[59] იხ. საქართველოს საარჩევო კოდექსის 79–ე მუხლი.
[60] იხ. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე–16 მუხლის ''თ'' – ქვეპუნქტი.
[61] იქვე. 56–ე მუხლი.

- დაუშვებელია პროგრამაში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი პოზიციის გამოხატვა[62];
- მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან;
- მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას; ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას; აუცილებლობის გარეშე, არ უნდა აღნიშნოს პირის ეთნიკური წარმოშობა და რელიგიური მრწამსი;
- მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით, რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება[63].

მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი სანქციების დაკისრება შედის მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს – კომისიის უფლებამოსილებაში[64].

12. რელიგიის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა ჯანდაცვის სფეროში

განსაზღვრული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი;
2. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი;
3. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი.

12.1. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონით დადგენილი გარანტიები:

მხოლოდ სამსახურებრივი ან ოჯახური კონფლიქტი, შეუთავსებლობა საზოგადოებაში არსებულ მორალურ, რელიგიურ, კულტურულ ან პოლიტიკურ შეხედულებებთან არ შეიძლება გახდეს პირისათვის ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზის დადგენის საფუძველი.

სტაციონარში მოთავსებულ პაციენტს უფლება აქვს შეასრულოს რელიგიური რიტუალი, თუ იგი არ ლახავს სხვათა უფლებებს[65];

12.2. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონით დადგენილი გარანტიები:

დაუშვებელია სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევის მიზნით, უპატრონო ან/და ამოუცნობი გვამის ან მისი ანატომიური სტრუქტურების გამოყენება, თუ არსებობს საფუძველი

[62] მაუწყებლის ეთიკის კოდექსის მე–16 მუხლის მე–2 ნაწილი.
[63] იქვე. 33–ე მუხლი.
[64] კომისიის ფუნქციების შესახებ იხ. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტი და 71–ე მუხლი.
[65] ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე–9 და მე–15 მუხლები.

ვარაუდისათვის, რომ მისი (მათი) ამგვარად გამოყენება შელახავს გარდაცვლილის რელიგიურ შეხედულებებს[66].

თუ მიღებული სამედიცინო სტანდარტებით, გარდაცვლილი შესაფერი კანდიდატია ორგანოს ასაღებად, ამასთან, მას სიცოცხლეში არ აქვს გაცხადებული თანხმობა ან უარი ორგანოს გაცემაზე და არ არის საფუძელი იმის დასაშვებად, რომ გაცემა ეწინააღმდეგება მის რელიგიურ რწმენას, ეთიკურ პრინციპებს, ორგანოს აღება შეიძლება მხოლოდ გარდაცვლილის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. თუ ამ უკანასკნელთა მოძიება ვერ ხერხდება, გვამიდან ორგანოს აღება არ შეიძლება.[67]
პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთის გახორციელების დროს რელიგიური ან სხვა მოტივების გათვალისწინების შესაძლებლობა[68].

12.3. პაციენტის უფლებების შესახებ კანონით დადგენილი გარანტიებია:

- დაუშებელია ყოვლეგვარი დისკრიმინაცია, მათ შორის, რელიგიური ნიშნით[69].
- პაციენტს უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და პიროვნული ფასეულობების პატივისცემა[70].
- თუ ქმედუუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის განხორციელების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ხოლო მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მოძიება ვერ ხერხდება, სამედიცინო მომსახურების გამწევი იღებს გადაწყვეტილებას პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად.
- თუ ქმედუუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გაწევის გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, ხოლო მისი ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი სამედიცინო მომსახურების წინააღმდეგია, სამედიცინო მომსახურების გამწევი იღებს გადაწყვეტილებას პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად[71].

სამედიცინო მომსახურების გამწევს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ქმედუუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილება, თუ იგი ეწინააღმდეგება პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს.

---

[66] ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 112[1]–ე მუხლი.
[67] იქვე. 118–ე მუხლი.
[68] 153–ე მუხლი.
[69] პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე–6 მუხლი.
[70] იქვე. მე–15 მუხლი.
[71] იქვე. 25–ე მუხლი.

უფლებების დარღვევაზე რეაგირების ზოგადი წესების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელოს მე–16 თავი.

13. რელიგიის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში

განსაზღვრული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს პატიმრობის კოდექსი;
2. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის №187 ბრძანება.

13. 1. პატიმრობის კოდექსით დადგენილი გარანტიებია:

ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში[72];

ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, მიიღოს საწერი საშუალებები, გარდა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული აკრძალული ნივთებისა[73].

პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული უნდა იყოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის და სასულიერო პირებთან შეხვედრის წესი[74].

13.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის განხორციელების შესახებ ბრძანებით დადგენილი გარანტიებია:

ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია შეხვდეს მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, აგრეთვე რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის ან/და ტრადიციული კონფესიების წარმომადგენელს, რომელიც დაწესებულებაში დაიშვება მხოლოდ შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ დაწესებულებასთან წინასწარი შეთანხმებით.

ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ნებადართულია თან იქონიოს და ისარგებლოს რელიგიური ლიტერატურით, ინდივიდუალური რელიგიური კულტის საგნებით, გარდა

[72] იხ. პატიმრობის კოდექსის მე–14 მუხლი.
[73] იქვე. მე–20 მუხლი.
[74] იქვე. 52–ე მუხლი.

მჩხვლეტავი, ბასრი, ძვირფასი ლითონების და ქვის ნაკეთობებისა ან იმ საგნისა, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და ისტორიულ ფასეულობას[75].

13.3. უფლებების დარღვევაზე რეაგირების მექანიზმი

კანონით განსაზღვრული უფლებების შეზღუდვის შეთხვევაში, პირს უფლება აქვს, მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით ან/და სამართალდამცავ ორგანოს, გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

უფლებების დარღვევაზე რეაგირების ზოგადი წესების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელოს მე–16 თავი.

14. რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა სისხლის სამართალში

აღნიშნული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
4. განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის №216 ბრძანება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (*შემდგომში* სსკ) ითვალისწინებს ისეთ აკრძალვებსაც, რომლის ადრესატიც უშალოდ რელიგიური ორგანიზაცია არის.

სსკ–ის 252–ე მუხლი კრძალავს ისეთი რელიგიური გაერთიანების შექმნას ან მასში მონაწილეობას, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ, ანდა ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, ისეთი ქმედების შემადგენლობებს, რომელთა დამაფუძნებელი თუ დამამძიმებელი ნიშანი სწორედ რელიგიური მოტივებია.

სსკ–ის 109–ე მუხლის მე–2 ნაწილის ‘’დ’’ ქვეპუნქტი კრძალავს მკვლელობას რელიგიური ნიშნით.

სსკ–ის 118–ე მუხლის მე–3 და 117–ე მუხლის მე–5 ნაწილის ‘’დ’’ ქვეპუნქტი კრძალავს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანებას რელიგიური

[75] იხ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის №187 ბრძანების მე–2 და მე–6 მუხლები.

შეუწყნარებლობის გამო.

სსკ–ის 126–ე მუხლის მე–2 ნაწილის ‘’ზ’’ ქვეპუნქტი კრძალავს, ძალადობას რელიგიური ნიშნით.

სსკ–ის 142–ე და 142[1] მუხლებით კრძალავს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას და ყოველგვარ დისკრიმინაციას.

სსკ–ის 144[1] – ე მუხლის მე–2 ნაწილის ‘’ვ’’ ქვეპუნქტი კრძალავს წამებას რელიგიური ნიშნით.

სსკ–ის 144[3] – მუხლის მე–2 ნაწილის ‘’ვ’’ ქვეპუნქტი კრძალავს დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას რელიგიური ნიშნით.

სსკ–ის 155–ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლისთვის.

სსკ–ის 156–ე მუხლი კრძალავს პირის დევნას მის რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

სსკ–ის 166–ე მუხლი კრძალავს, რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლას ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

სსკ–ის 258–ე მუხლის მე–3 ნაწილის ‘’ბ’’ ქვეპუნქტი კრძალავს, ცხედრის ან საფლავის წაბილწვას, აგრეთვე საფლავის ძეგლის ან მისი სხვა მიწისზედა ნაგებობის დანგრევას ან დაზიანებას რელიგიური შეუწყნარებლობის გამო.

სსკ–ის 329–ე მუხლი ითვალისიწინებს პასუხისმგებლობას ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდებისთვის, რომლის დროსაც იძულება შეიძლება განხორციელდეს რელიგიური ორგანიზაციის მიმართ.

2012 წლის 27 მარტის საკანონმდებლო ცვლილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53–ე მუხლს დაემატა მე–3[1] ნაწილი, რომლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა დისკრიმინაციის შემცველი ნიშნით, მათ შორის, რელიგიური შეუწყნარებლობის გამო, წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას.

15. რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეგულაციები

განსაზღვრული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

საქართველო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (*შემდგომში* სსსკ), ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან დაკავშრებული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების

ჩატარების წინაპირობად მტკიცებულებით სტანდარტს ადგენს, ეს სტანდარტი კიდევ უფრო მაღალია როდესაც ჩხრეკის, ამოღების და დაყადაღების ობიექტი რელიგიური ორგანიზაციის სათავსშია.

სსსკ–ის 123–ე მუხლის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება რელიგიურ ორგანიაციაში ჩხრეკის, ამოღების ან/და დაყადაღების შესახებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს აშკარა და დამაჯერებელი დასაბუთება, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არ გამოიწვევს საქართველოს კონსტიტუციით დაცული სინდისის თავისუფლების, აღმსარებლობის, რწმენის ან გაერთიანების უფლების ხელყოფას.

სსსკ–ი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც არ არიან ვალდებულნი მისცენ ჩვენება მოწმის სახით[76]. ამ პირთა წრეს მიეკუთვნება სასულიერო პირიც. სასულიერო პირი თავისუფლდება მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულებსიგან მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად. აღსანიშნავია, რომ ძველი რეგულაციისგან განსხვავებით, ახალი კანონი არ უკრძალავს სასულიერო პირს ჩვენების მიცემას, არამედ უფლებას აძლევს თავად თქვას უარი ინფორმაციის მიწოდებაზე.

მოწმე ჩვენების მიცემის დროს დებს ფიცს, რომელიც შეიძლება იყოს რელიგიური ან არარელიგური შინაარსის. მოწმეს უფლება აქვს, საერთოდ უარი თქვას ფიცის დადებაზე. თუ მოწმე, რწმენისა თუ სხვა მოსაზრებათა გამო, უარს ამბობს ფიცის დადებაზე, მაშინ მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცვლელი დადასტურების განხორციელებით[77].

სასულიერო პირი არ შეიძლება იყოს ნაფიცი მსაჯული. ნაფიც მსაჯულად შერჩევისა და შესაბამისი უწყების ადგილზე მიღების შემთხვევაში, სასულიერო პირმა უნდა განაცხადოს აცილების საფუძვლის არსებობის შესახებ, უწყების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში[78].

ნაფიცი მსაჯულის დაუსაბუთებელი აცილება არ შეიძლება იმგვარად იყოს გამოყენებული, რომ მოხდეს მსაჯულობის კანდიდატთა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების, რაიმე გაერთიანების წევრობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.

16. რელიგიის თავისუფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების მიმოხილვა

განსაზღვრული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

[76] იხ. სსსკ–ის 50–ე მუხლი.
[77] იქვე. 48–ე მუხლი.
[78] იქვე. 221–ე მუხლის მე–6 ნაწილი.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
4. საქართელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

16.1. სისხლისსამართლებრივი მექანიზმი

სსკ–ით გათვალისიწნებული ქმედების ჩადენის ფაქტზე, პირს წერილობითი განცხადებით, შეუძლია მიმართო რაიონის პოლიციას (გამოძიების ორგანოს).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამოძიების ორგანო არ არის ვალდებული განმცხადებელს შეატყობინოს გამოძიების დაწყების შესახებ, მსხვერპლს, შეუძლია მიმართოს გამოძიების ორგანოს განცხადებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–3 თავის საფუძველზე და გამოითხოვოს გამოძიების დაწყება/არდაწყების შესახებ საჯარო ინფორმაცია.

დანაშაულის შესახებ იფორმაცია წარმოადგენს გამოძიების დაწყების საფუძველს[79].

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი **ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.**

გამოძიების დაწყების შემდეგ, პირი შეიძლება იქნეს ცნობილი დაზარალებულად.

პირის დაზარალებულად ცნობა მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებას მიეკუთვნება[80].

პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ პროკურორს გამოაქვს დადგენილება.

თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, გააუქმოს ეს დადგენილება.

დაზარალებული სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

სსსკ–ი არ ითვალისწინებს პირის უფლებას მიმართოს პროკურატურას მისი დაზარალებულად ცნობის შესახებ შუამდგომლობით ან გაასაჩივროს მისი დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმება.

[79] იხ. სსსკ–ის მე–100 და 101–ე მუხლი.
[80] იხ. სსსკ–ის 56–ე მუხლი.

დაზარალებულს შეუძლია გაასაჩივროს გამოძიების ან ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწვეტილება[81].

სისხლისსამართლებრივი დევნა

სისხლის სამართლებრივი დევნა იწყება პირის მიმართ და პროცესუალურად გამოიხატება პროკურორის მიერ, პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანაში, რის შემდეგაც იგი ითვლება ბრალდებულად.

გასაჩივრების ვადა და წესი.

გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის **შეწყვეტის** შესახებ პროკურორის დადგენილება (გადაწყვეტილება) საჩივრდება ერთჯერადად, ზემდგომ პროკურორთან.

გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის **შეწყვეტის** შესახებ პროკურორის დადგენილების გაასაჩივების ვადაა – 10 დღე. 10-დღიანი ვადის ათვლა იწყება მას შემდეგ, რაც მომჩივნისათვის ცნობილი გახდება იმ ქმედების ან გადაწყვეტილების თაობაზე, რომელსაც იგი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს[82].

გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, პროკურორი ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს (იხ. სსსკ–ის 106–ე მუხლის მე–2 ნაწილი).

პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს წინასწარ შეატყობინოს შემდეგი ინფორმაცია:[83]

- ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან;
- წინასასამართლო სხდომა;
- სასამართლოს მთავარი სხდომა;
- სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ;
- სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა;
- საპროცესო შეთანხმების დადება.

16.2. სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმი

რამდენადაც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღარ ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩელის საფუძველზე სისხლის სამართალწარმოებას, დაზარალებულმა

[81] იხ. სსსკ–ის 106–ე მუხლის 1–ლი ნაწილი.
[82] იხ. იქვე. 95–ე მუხლის მე–6 ნაწილი.
[83] იხ. იქვე. 58–ე მუხლი.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით უნდა მიმართოს სხვა სასამართლოს, კერძოდ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას[84].

სამოქალაქო წესით სარჩელის წარდგენა აუცილებელია, რადგან ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

განსჯადობა

სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. (იხ. სამოქალაქო კოდექსის მე–15 მუხლი)

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის აუცილებელი კომპონენტები

სამოქალაქო კანონმდებლობა პირს ანიჭებს უფლებას, სამოქალაქო წესით საქმის წარმოება დაიწყოს სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების დასრულების შემდეგ ან მის დასრულებამდე. იმ საქმეებზე, სადაც სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილებაა გამოტანილი, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი[85]. ზიანის მიყენების დამადასტურებელ დოკუმენტი მათ შორის, შესაძლებელია იყოს პროკურორის დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შედეგად დაზიანებულ პირს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ უზღუდავს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი წარადგინოს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე. რაც ნიშნავს, რომ სარჩელის წარდგენის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების (განაჩენის) არარსებობობა.[86]

---

[84] იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[16]–ე მუხლი.

[85] იქვე. 309[17]–ე მუხლი.

[86] აღნიშნული გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდელქსის 279–ე მუხლის ''დ'' ქვეპუნქტიდან, რომლის მიხედვით საქმისწარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველია თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით, მაგრამ არაფერი წერია სისხლისსამართალწარმოებასთან მიმართებით.

თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა.

შესაბამისად, იმის მიხედვით თუ რომელ გზას ირჩევს პირი, განსხვავებულია საქმის წარმოების დეტალები:

საქმის წარმოება, რომელიც ხორციელდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, გულისხმობს გამარტივებული წესით საქმის წარმოების პროცესს, რაც რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV[3] თავით (ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი). ამ შემთხვევაში:

- პირი გათვისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;
- წარმოება მიმდინარეობს განსხვავებულ (შემჭიდროვებულ) ვადებში.

განაჩენის არარსებობისას, პირი სასამართლოში წარადგენს შესაბამის დოკუმენტს (მაგალითად, პროკურორის დადგენილებას დაზარალებულად ცნობის შესახებ). რა შემთხვევაშიც:

- იგი ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი სამოქალაქო კანონდებლობით დადგენილი წესით და ოდენობით;
- წარმოებისას გამოიყენება სამოქალაქო საქმისწარმოების ზოგადი ვადები.

გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა, სამოქალაქო სარჩელის შინაარსის და აუცილებლად დასართავი დოკუმენტების შესახებ იხილეთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე და 178–ე მუხლები.

სარჩელის დასაშვებობის გადაწყვეტა

- სამოქალაქო წარმოების ზოგადი წესით დადგენილი წარმოებისას, მოსამართლე ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმის წარმოების შემთხვევაში სარჩელის მიღების საკითხი იხილება სარჩელის შეტანიდან **5 დღის განმავლობაში[87],** ხოლო გამარტივებული წესით საქმისწარმოებისას **3 დღის განმავლობაში[88].**
- თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მოსარჩელეს დაუბრუნებს სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

[87] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[88] იქვე. 309^{19} -ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

- ორივე სახის წარმოების პროცესში ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო განჩინება **საჩივრდება კერძო საჩივრით**[89].

კერძო საჩივარი

კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება. კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415–ე მუხლი). კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან (იხ. იქვე. 416–ე მუხლი) სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კერძო საჩივარზე შეადგენს 50 ლარს (იხ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუქტი)

სარჩელის განხილვისა და გასაჩივრების ვადები

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს, ზოგადი სასარჩლო წესის მიხედვით, სასამართლო განიხილავს სარჩელის წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს ორი თვისა. ეს ვადა შესაძლებელია საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით გაგრძელდეს 5 თვემდე. გამარტივებული საქმისწარმოების დროს, სასამართლო საქმეს განიხილავს წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში.

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით[90].

ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოში, რომელიც ზოგადი სასარჩელო წარმოების შემთხვევაში, საჩივრდება გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, ხოლო გამარტივებული საქმისწარმოების პროცესის დროს - 7 დღის ვადაში.

16.3. ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმი.

ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპეციალური ნორმით სხვა რამ არის დადგენილი).

[89] იხ. იქვე. 309[19]–ე მუხლი.
[90] იხ. იქვე. 309[20]–ე მუხლი.

ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო[91].

გასაჩივრების ვადები

ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან **ერთი თვის ვადაში,** თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს **ერთი თვის ვადაში** იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ[92].

უფლებამოსილი ორგანოს მიერ საჩივრის განხილვის ვადა

უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს **ერთი თვის ვადაში** (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპეციალური ნორმით სხვა რამ არის დადგენილი).

თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე მეტი, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია 7 დღის ვადაში გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა **შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვით** (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპეციალური ნორმით სხვა რამ არის დადგენილი)[93].

ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი, ფორმა და დასართავი დოკუმენტების შესახებ იხ. ზაკ–ის 181–ე მუხლი.

პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრა

მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი ამოწურავს ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების რესურსებს, მას შეუძლია სარჩელი აღძრას განსჯადობის მიხედვით, შესაბამის სასამართლოში.

სარჩელი შეიძლება აღიძრას:

[91] ზაკ–ის 178–ე მუხლი.
[92] იქვე.180–ე მუხლი.
[93] იქვე.183–ე მუხლი.

- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით[94];
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით[95];
- ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას[96].

ადმინისტრაციული სარჩელი და მასთან დაკავშირებული ვადები

სარჩელი[97] – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში; ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში (თუ სპეციალური ნორმით სხვა ვადა არ არის დადგენილი)[98].

სარჩელი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში[99]. უარად ითვლება ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა კანონით დადგენილ ვადაში.

სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების წესების და ვადების შესახებ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული პროცესის IX თავი.

16.4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების წესი და პირობები

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე–19 მუხლის 1–ლი პუნქტის ''ე'' ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის საფუძელი შეიძლება იყოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან (ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 39–ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

---

[94] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლი.
[95] იქვე. 23–ე მუხლი.
[96] იქვე. 24–ე მუხლი.
[97] მითითებულ ბმულზე იხილეთ ადმინისტრაციული და სამოქალაქო სარჩელის ფორმები http://tcc.gov.ge/index.php?m=552&newsid=6
[98] იქვე.22–ე მუხლის მე–3 ნაწილი.
[99] იქვე.23–ე მუხლის მე–3 ნაწილი.

- საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.
- საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.

მოპასუხე

გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომლის აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა[100].

სარჩელის ფორმისა და შინაარსის შესახებ იხ. საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე–16 მუხლი.[101]

> ***საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.***

16.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის წესი და პირობები

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (*შემდგომში* ევროპული სასამართლო) შეუძლია მიიღოს განცხადება[102] ნებისმიერი ფიზიკური პირისგან, არასამთავრობო ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა ჯგუფისგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ–ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ ადამიანის უფლებათა კონვენციით ან მისი ოქმით გათვალისიწნებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი[103].

სასამართლოს შეუძლია საქმე მიიღოს განსახილველად მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება და თუ გასული არ არის 6 თვე, საქმეზე შიდასახელმწიფოებრივი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.

სასამართლო არ განიხილავს განცხადებას თუ:

- ანონიმურია;

---

[100] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–2 პუნქტი.
[101] საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენი სარჩელის ფორმა ხელმისაწვდომია: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO
[102] ადამინიას უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი საჩვრის ფორმა ხელმისაწვდომია: http://www.echr.coe.int/Documents/Application_Form_2014_1_KAT.pdf
ასევე იხილეთ ცნობარი საჩივრის ფორმის შევსების მსურველთათვის, ხელმისაწვდომია: http://www.echr.coe.int/Documents/Notes_for_Filling_in_the_Application_Form_2014_1_KAT.pdf
[103] იხ. ადამინიას უფლებათა ევროპული კონვენციის 34–ე მუხლი.

- არსებითად იგივე საკითხია, რომელიც უკვე განიხილა ევროპის სასამართლომ;
- გადაეცა საერთაშორისო გამოძიებას ან დაექვემდებარა მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს შესაბამის, რაიმე ახალ ინფორმაციას;
- აშკარად დაუსაბუთებელია;
- ხდება სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება.